ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲗᲐᲨᲠᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 მაისი, კვირა, 1988 წ.
№ 94 (9761) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲠᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ:
„ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲖᲔ“

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ, ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ...

● ერთხელ უკვე გამოვედი თქვენს გაზეთში ამ საკითხზე და ახლა, როცა გამოქვეყნდა ნორმატივები, როცა საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვიდა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ფიზკულტურაში გამცდის ჩატარების საკითხი, არ შემიძლია კვლავ არ გამოვთქვა ჩემი სიხარული. მერწმუნეთ, ეს არის მასობრივობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის დიდი სტიმული, პრაქტიკული ნაბიჯი. ბოლოს და ბოლოს, ფიზკულტურა ჯეროვნად დაფასდება სკოლებში, ამაღლდება ამ საგნის ავტორიტეტი. გავიხსენოთ კალინინის სიტყვები, რომელიც მოითხოვდა, რომ ფიზკულტურა, როგორც საგანი, სკოლებში დაეყენებინათ მშობლიური ენის, მათემატიკის გვერდით. ახლა სწორედ ეს დრო დადგა. პირადად მე მხარს ვუჭერ ამ თაოსნობას და კარგი იქნება თუ იგი წელსვე დაინერგება მისაღებ გამოცდებზე, ამასთან მხარს ვუჭერ ნორმატივების მეორე ვარიანტს (რობერტ შავლაყაძე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე).

● ჩემი აზრით, მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების შემოწმება ნორმატივების ჩაბარებით წელსვე უნდა მოხდეს. ამ საკითხმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ბევრს ეშინია, რომ ვერ ჩააბარებს ნორმატივებს. არადა, ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა, როგორ შეიძლება მან ეს მართლაც უმარტივესი ნორმატივები ვერ ჩააბაროს. გამოცდებამდე საკმაო დრო დარჩა იმისთვის, რომ აბიტურიენტებმა ეს ნორმატივები აითვისონ (მალხაზ ბედოშვილი, ინჟინერი, თბილისი).

● ახალმა თაოსნობამ ჩემი დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ამ იდეაზე მიოცნებია და აი, დადგა დრო, როცა შეიძლება ეს ოცნება რეალობად იქცეს. ჩემი აზრით, ფიზკულტურაში გამოცდები უნდა ჩატარდეს სკოლებშიც (კლასიდან კლასში გადასაყვანი), საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში კი საბუთების მიღებისთანავე. აბიტურიენტებს, თუ ისინი სუსტ ფიზიკურ მომზადებას გამოავლენენ, საბუთების მიღებაზე უარი, ალბათ, არ უნდა ვუთხრათ, მაგრამ განა ცოტაა ისეთი, უკვე პირველი სექტემბრიდან რომ გვეცოდინება, ვისთან გვაქვს საქმე, ვისთან უნდა ვიმუშაოთ დროის დაუკარგავად. მერწმუნეთ, თუ ეს სიახლე დაინერგება, სკოლებში აღარ გვეყოლებიან ისეთი მოსწავლეები, ფიზკულტურის გაკვეთილებზე მაყურებლის როლს რომ ამჯობინებენ. მშობლებიც აღარ შეაწუხებენ ექიმებს, დაეხმარონ შვილის ფიზკულტურის გაკვეთილიდან განთავისუფლებაში (აზზეგ ფილიევი, რუსთავი, პედაგოგი).

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

მატჩი მხოფლიო პირველობაზე ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის დაიწყება 5 სექტემბერს საქართველოში. ამის შესახებ ლიუცერნში გამოაცხადა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა. სულ გაიმართება 16 პარტია. (საკდენი).

Ვ. ᲘᲐᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ხუთჭიდელმა ვახტანგ იაგორაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა, მან 5374 ქულა მოაგროვა. გარდა ამისა, იაგორაშვილმა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში კიდევ ერთი მეორე ადგილი მოიპოვა გუნდურ პირველობაში, როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ უნგრელი სპორტსმენები, პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო იანოშ მარტინეკი — 5383 ქულა, მესამე ადგილზე გავიდა ანატოლი ავდეევი — 5371 ქულა.

ᲮᲔᲘᲗᲑᲝᲠᲓᲘᲡ ᲛᲝᲣᲒᲐᲠᲗᲣᲚᲗ ᲓᲦᲔᲡ, 15 ᲛᲐᲘᲡᲘ, 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲔᲞᲐᲢᲘᲤᲔᲑᲘᲗ ᲠᲘᲣᲤᲖᲔ ᲮᲐᲭᲚᲐᲥᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲕᲔᲚᲝᲠᲐᲞᲝᲠᲢᲨᲘ

ᲘᲡᲔᲕ ᲰᲔᲡᲚᲘᲰᲘ, ᲘᲡᲔᲕ ᲰᲘᲣᲑᲜᲔᲠᲘ



ᲚᲣᲪ ᲰᲔᲡᲚᲘᲰᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საერთაშორისო ტურნირზე სპრინტერთა შეჯიბრების მეოთხედფინალური წყვილები, ფაქტობრივად, სამართლიანობის ყველა კანონის დაცვით განაწილდა, ამ ეტაპზე ისინი წილისყრამ ერთმანეთს არ დაუპირისპირა. გამონაკლისი გახლდათ მეოთხე წყვილი, გერმანელი სპორტსმენები ბილ ჰუკი და რალფ კუში, რომელთაგანაც ერთ-ერთს საუკეთესო ოთხეულის მიღმა დარჩენა ელოდა. თუმცა მათი ორთაბრძოლის დროს კვანძი უფრო მარტივ და ერთგვარად ტრაგიკულ სიტუაციაში გაიხსნა: პირველი რბოლის დროს კუში დაეცა, ტრავმა მიიღო და შეჯიბრების გაგრძელება ვეღარ შეძლო.

დანარჩენი კი მოლოდინის მიხედვით მოხდა: ოთარ მჭედლიშვილმა დაამარცხა ვლადიმერ ადამაშვილი, ლუც ჰესლიჰმა — ნიკოლაი კოვში, მიხაელ ჰიუბნერმა მოუგო ანდრეი ბელოსტეცკის. ყველა ამ რბოლას მინიმალური რაოდენობა, ორ-ორი ცდა დასჭირდა.

ნახევარფინალში ჰესლიჰი და ჰიუბნერი კვლავ, „ასცდნენ“ ერთმანეთს და ცხადი გახდა, რომ განმეორდებოდა ის, რასაც ბოლო წლების შეჯიბრებებზე ვუყურებთ — ჰესლიჰისა და ჰიუბნერის დუელს ფინალში.

თუმცა, ქართველ გულშემატკივრებს შორის მცირე იმედი მაინც ღვიოდა, მჭედლიშვილი ნახევარფინალში ჰიუბნერს ხვდებოდა და ვინ იცის... წინასწარი რბოლების მიხედვით აშკარად ჩანდა, რომ ჩვენი სპრინტერი ამ შეჯიბრებისათვის კარგად იყო მომზადებული. საქმე იმაში იყო, ეყოფოდა თუ არა მას ფსიქოლოგიური სიმტკიცე...

ჰიუბნერს დიდი ავტორიტეტი აქვს და, ეტყობა, მჭედლიშვილმა ვერც ახლა დააღწია თავი მის გავლენას: პირველ ცდაზე გერმანელმა სპორტსმენმა თითქმის შეუფერხებლად გამოიყენა ერთ-ერთი ტაქტიკური ილეთი და, ფაქტობრივად, გარანტირებულ გამარჯვებას მი-

ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲛᲠᲝᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲔᲑᲛᲐ ᲣᲕᲔᲚᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲛᲜᲔᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲓᲒᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲗᲐᲨᲠᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲗᲐᲨᲠᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛᲘᲗᲝᲛᲪᲐᲛᲔ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲘᲡᲜᲔ (ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲑᲔᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ).

● ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲐᲛ ᲘᲓᲔᲐᲖᲔ ᲛᲘᲝᲪᲜᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘᲪ (ᲙᲚᲐᲡᲘᲓᲐᲜ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲧᲕᲐᲜᲘ), ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ. ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ. ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲣᲡᲢ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲔᲜᲔ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲗᲮᲠᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲪᲝᲢᲐᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲣᲙᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ, ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲠ�გᲐᲕᲐᲓ. ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲔᲑᲐ, ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲔᲧᲝᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲒᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛᲘᲗᲝᲛᲪᲐᲛᲔ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲘᲡᲜᲔ (ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲑᲔᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ).

ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ



ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სახელმწიფო ცირკში ჩატარდა ნახევარფინალური შეხვედრა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის ქართულ ჭიდაობაში. ამ ტურნირის პირველი ფინალისტი გახდა შარშანდელი ჩემპიონი, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის გუნდი, რომელმაც შესანიშნავად წარმართა შეხვედრა ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის მოჭიდავეებთან და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 7:2. ამ შერკინებაში პირველი ხუთი ბრძოლის შემდეგ ანგარიში მინიმალური იყო — 3:2, შემდეგ კი ქისტაურელ ფალავნებს ტოლი აღარ გამოუჩნდათ. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: ნოდარ მაისურაძე, კვირია არაბული, ნუგზარ დავითაშვილი, ზაქრო ებელაშვილი, თემურ შეთეკაური, როინ უძილაური, ვასილ ომარაშვილი, ნუგზარ კაიმაური და გია კვიცაშვილი, გუნდის მწვრთნელია ნოდარ მალვენიშვილი. სასიამოვნოა, რომ ქისტაურის გუნდი მუდამ დიდი პასუხისმგებლობით ემზადება შეჯიბრებისათვის.

მეორე ნახევარფინალი არ შედგა: კასპის რაიონის სოფელ მეტეხის გუნდს მეტოქე არ გამოუჩნდა. როგორც უკვე გაცნობეთ, მეოთხედფინალში ვაყის გუნდმა (ხაშურის რაიონი) დაამარცხა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის მოჭიდავეები, მაგრამ შემდეგ საგარეჯოელებმა ეს შეხვედრა გააპროტესტეს. ამას საპასუხო პროტესტი მოჰყვა ხაშურელთა მხრიდან და ახლა მსაჯთა კოლეგია საქმის რეალურ ვითარებას არკვევს. თუ ვინ იქნება კასპელთა მეტოქე ნახევარფინალში, ამას მოგვიანებით შეგატყობინებთ.

ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ

20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურის პრეტენდენტთა, ქეთევან არახამიასა და ქეთევან კახიანის მატჩის მეხუთე პარტიაში, რომელიც თეთრი ფიგურებით ქეთევან კახიანი თამაშობდა, გათამაშდა სლავური დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი. როგორც იცით, კახიანმა მისთვის უარეს პოზიციაში გადადო მეოთხე პარტია და მას მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, რათა შეენარჩუნებინა შანსი საგზურისათვის ბრძოლაში. ამიტომაც იყო რომ მან მეხუთე სვლაზე (მესამე პარტიასთან შედარებით) სულ სხვა გაგრძელება აირჩია. მიტელშპილში ორივე მხედარი ლაზიერის ფრთაზე გადაისროლა და მეტოქის პოზიცია შეავიწროვა. ამას გარდა გახსნა b ვერტიკალი და მძიმე ფიგურებით მერვე დიაგონალზე შეიჭრა. თითქოსდა მოგებას აღარაფერი აკლდა, მაგრამ მან მძიმე პოზიციური შეცდომა დაუშვა, მეტოქეს დაუთმო ღია f ვერტიკალი, რის შემდეგაც არახამია ლაზიერით შეიჭრა მეტოქის მეფის ბანაკში და მუდმივი ქიშით პარტია აიმით დასრულა.

Ქ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ — Ქ. ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ
ᲡᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 d5 2. c4 c6 3. ᲛᲤ3 ᲛᲤ6 4. ᲛᲒ3 g6 5. ᲚᲑ3 ᲙᲒ7 6. cd cd 7. ᲙᲒ5 e6 8. e3 ᲛᲒ6 9. ᲙᲑ5 0-0 10. Კ:c6 bc 11. 0-0 ᲚᲐ5 12. ᲚᲐ4 ᲚᲑ6 13. ᲚᲐ3 ᲛᲓ7 14. ᲯᲔ7 ᲔᲔ8 15. ᲔᲤᲒ1 e5 16. ᲛᲐ4 ᲚᲐ6 17. b3 e4 18. ᲛᲓ2 ᲙᲤ8 19. Კ:f8 Მ:f8. 20. b4 ᲔᲔ6 21. ᲛᲑ3 ᲔᲤ6 22. ᲔᲒ2 g5 23. ᲛᲐ5 ᲚᲑ5 24. ᲔᲐᲒ1 ᲙᲓ7 25. ᲛᲒ5 ᲯᲔ8 26. ᲛᲐᲑ3 ᲛᲐᲒ 27. ᲛᲐ6 ᲛᲔ6 28. ᲛᲑᲒ5 Მ:c5 29. bc ᲚᲑ7 30. ᲔᲑ2 ᲚᲔ7 31. ᲚᲑ4 ᲔᲓ8 32. ᲚᲑ7 ᲔᲓ7 33. ᲚᲑ8 f5 34. ᲔᲒᲑ1 ᲔᲤ6 35. ᲚᲐ8 f4 36. ᲔᲑ8 ᲛᲤᲤ7 37. ᲔᲒ8 fe 38. fe ᲚᲔ6 39. ᲛᲒ7 ᲚᲤ5 40. h3 ᲚᲤ2+ 41. ᲛᲤᲰ1 ᲔᲤ3 42. gf Ლ:f3+ 43. ᲛᲤᲰ2 ᲚᲤ2+ 44. ᲛᲤᲰ1 ᲚᲤ3+ 45. ᲛᲤᲰ2 ᲚᲤ2+.

ᲧᲐᲘᲛᲘ.

ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

მოეწყო არახამია — კახიანის მატჩის მეოთხე გადადებული პარტიის დამთავრება. 71-ე სვლაზე გაიმარჯვა არახამიამ.

ამრიგად, ანგარიში გახდა 3:2 არახამიას სასარგებლოდ. დარჩენილ მეექვსე პარტიას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს: 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზური მოიპოვა ქეთევან არახამიამ. რაც შეეხება ქეთევან კახიანს, იგი ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

ᲥᲣᲚᲐᲗᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘᲗ

3 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს ოსტატობის კანდიდატ თამაზ ტაბატაძეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატში. მან მესამე ტურში ოსტატობის კანდიდატი გივი გოგიჩაიშვილი დაამარცხა.

მეტოქეებმა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს. ტაბატაძემ სწრაფად გაათანაბრა პოზიცია, შემდეგ კი უპირატესობის დაეუფლა. მიტელშპილში მან ორი პაიკი მოიგო და ცენტრში ორი ზედმეტი, „გადაბმული“ პაიკები დარჩა. გოგიჩაიშვილი შეეცადა მეტოქის მეფის ფრთაზე კონტრთამაშის მიღებას, მაგრამ ტაბატაძე ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა.

საინტერესო გამოდგა გია გიორგაძისა და ბესიკ ხეცურიანის პარტიაც. გია გიორგაძემ სულ ახლახან პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა. რაც შეეხება ბესიკ ხეცურიანს, იგი შარშანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის მესამე ადგილის პრიზიორია, გარდა ამისა, ოსტატის ნორმატივიც აქვს შესრულებული. ამიტომაც იყო, რომ მათი პარტია მეტად საინტერესო ბრძოლაში წარიმართა.

მიტელშპილში თეთრებმა მეტოქის მეფის ფრთაზე წამოიწყეს შეტევა, მაგრამ ხეცურიანმა ზუსტად ითამაშა, ფიგურები გაცვალა და 24-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ბალათუროვი-ტყებუჩავა — 1:0, გურგენიძე-ეფიმოვი — 1:0, სუპატაშვილი-თორია — 1:0, ზაიჩიკი-კიკიანი — 0:1, მიქაძე-ჩაჩიბაია — 0,5:0,5.

3 ტურის შემდეგ 3 ქულით ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი თამაზ ტაბატაძე. მას 0,5 ქულით ჩამორჩებიან ოსტატი გია გიორგაძე და საერთაშორისო დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, შემდეგ მოდიან თამაზ კიკიანი (ყველა — თბილისი), ხვიჩა სუპატაშვილი — 2-2, ბესიკ ხეცურიანი (ორივე — ქუთაისი), ზურაბ მიქაძე, გია ბალათუროვი (ორივე — თბილისი) — 1,5:1,5.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.

სოფელი ლონიერია — ენთუზიასტი

თუ თავმჯდომარე მოინდომებს

ეს კაცი რომ არა, სპორტული არენა დღესაც არ გვექნებოდაო. —სოფელში ერთად რომ შეიყრებიან ასე იტყვიან თავიანთ თავმჯდომარეზე.

უნებურად გაიფიქრებ: ნეტავ ამისთანა რა არენა გააკეთაო.

ისეთი არაფერი, ჩვეულებრივი საჭიდაო სარბიელია...

სოფლის კანტორის გვერდით ფეხბურთის სტადიონია. ამ ქვეყანაზე ყველაფერს თავისი სახელი აქვს და სტადიონსაც ბიჭებმა თავიანთი სოფლის სახელი — „ვაჟა“ დაარქვეს. ფეხბურთელთა გუნდსაც „ვაჟა“ ჰქვია.

თითქმის ყოველ კვირა დღეს იმართება შეხვედრები ფეხბურთში. მეზობელი სოფლის ბიჭებიც მოდიან საბურთაოდ, მაგრამ არც ერთი კვირა დღე ჭიდაობის გარეშე არ მთავრდება. მაყურებელიც ბლომად ჰყავთ ნახერხმყრილ წრეში შესულ ბიჭებს. სოფელს ჭიდაობა უყვარს. ეს კარგად იცის სერგო მჭედლიძემ და ამიტომაც კოლმეურნეობის სახსრებით სოფელს საჭიდაო მოედანი გაუმართა.

— თავმჯდომარედ ამ ექვსიოდე წლის წინ ამირჩიეს. მეც აქაური კაცი ვარ, აგერ, მეზობელი სოფლიდან, ტაბახევიდან. ვიცოდი, რომ აქ დიდი და პატარა ჭიდაობს. ორი კაცი ერთად რომ დადგებოდა, მალე ჭიდაობასაც დაიწყებდნენ. გადავწყვიტე ქართული ჭიდაობის სექცია გამეხსნა. უამრავი მსურველი ჩაეწერა. მწვრთნელიღა იყო საჭირო. შორს არ გვიძებნია, ჩვენი სოფლელი ოთარ შერაზადიშვილი მოვიწვიეთ. თვითონაც კარგი სპორტსმენია, ახლაც ჭიდაობს და ეს ბიჭები მას ჩავაბარე. ენერგიული და დაუზარელი ბიჭია, დღედაღამ ბავშვებთანაა. წარმატებებსაც აღწევს. ჩვენი ბიჭები ხშირად იმარჯვებენ სოფლებს შორის გამართულ შეჯიბრებებში. ხაშურის რაიონის მოჭიდავეთა გუნდი თითქმის ყოველთვის მისი შეგირდებით კომპლექტდება...

მერე საჭიდაო მოედანზე ჩავედით, სადაც რკინის მრგვალი ნაგებობის მეტი ვერაფერი ვნახე. არც მიფიქრია, რომ ეს საჭიდაო მოედანი იყო. ბატონი სერგო მიხდა ჩემს გაოცებას და ამიხსნა:

— ეს ჩვენი მოედანია. თბილისში ცირკი რომ გაქვთ, დაახლოებით იმ ტიპისა, ოღონდ პატარა, ასე, 150-200 კაცისათვის. ღია სარბიელი უამინდობის დროს, განსაკუთრებით ზამთარში, მოუტერხებელია. ამიტომ მისი გადახურვა გადავწყვიტეთ. აი, ეს რკინები ამისთვის არის საჭირო. ბიჭებს სული მისდით, როდის გაიხსნება საჭიდაო.

● ბატონო სერგო, ვაუელებს ჭიდაობა გუყვარებიათ, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებს თუ „სწყალობთ?

— რომ გითხრათ, სხვა სახეობებიც ისევე გვიყვარს, როგორც ჭიდაობა-მეთქი, არ იქნება მართალი. ფეხბურთი რომ ფეხბურთია, ჭიდაობა იმასაც კი გვირჩევნია. ისე ფეხბურთსაც ვთამაშობთ და კალათბურთსაც. გვაქვს მაგიდის ჩოგბურთის და ჭიდაობის დარბაზები. ახლახან უფასო გამაჯანსაღებელი ჯგუფებიც გავხსენით. ზამთარში თოვლი არ გვაკლია და ყინვა, ამიტომ თხილამურებიც შევიძინეთ. მოკლედ, სურვილი იყოს და ვარჯიშისთვის საჭირო ყველაფერი გვეშოვება.

ამ დროს გადახურვისათვის საჭირო მასალა მოიტანეს და თავმჯდომარეს დაუძახეს. ჩემთან მაღალი, შავგვრემანი ახალგაზრდა მოვიდა.

— ოთარ შერაზადიშვილი გახლავართ, — გამეცნო, — ორიოდე სიტყვას მეც გეტყვით თავმჯდომარეზე. სანამ ეგ აქ მოვიდოდა, ფიზკულტურის მეთოდისტს, პირდაპირ სასაცილოა, ოცდაათი მანეთი ხელფასი ჰქონდა. ვინ მუშაობდა? ახლა ანაზღაურება გაცილებით მეტია და ვარჯიშისთვისაც სულ სხვა პირობებია. არც სპორტული ფორმა და ინვენტარი გვაკლია. მე თვითონ ხაშურში უფრო, ასე ვთქვათ, პრესტიჟული და მაღალხელფასიანი ადგილი შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარი. ვერ წარმომიდგენია, ამ კაცს როგორ უნდა მოვცილდე. თვითონაც ძველი მოჭიდავეა. გადაწყვეტილი აქვს შექმნას სოფლის მოჭიდავეთა 10-12 კაციანი გუნდი. ამასაც გვპირდება, კოლმეურნეობას ძალა შესწევს და სპორტული კომპლექსი უნდა ავაშენოთო. რაკი თქვა, გააკეთებს კიდეც.

ამ დროს ბატონი სერგო ისევ დაბრუნდა.

● გავიგე, სპორტული კომპლექსის აშენება გადაგწყვეტიათ.

— დიახ. ვფიქრობ, ეს აუცილებელია. ხომ იცით, ჯაბანი კაცი ყველგან გამოუსადეგარია. კულტურის ცენტრის აგებასაც ვაპირებთ. სოფელს ქალაქზე მეტი გართობა სჭირდება, რათა ახალგაზრდებს სულ წასვლაზე არ ეფიროთ თვალი. მალე დავამთავრებთ ბუნებრივი გაზის გამოყვანას. ჯერჯერობით მხოლოდ სკოლა, ქართული თონის პურის საცხობი და ბალი ავაშენეთ. ვნახოთ, სოფელი ღონიერია და ალბათ ყველაფერს მოვერევით.

მანანა სოსელია.

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲙᲝᲚᲔ�გᲐ?

სპორტი, ჩემი სიყვარული!

„ლელოს“ სტუმარია სპორტული ჟურნალისტი, სსრ კავშირის სპორტული პრესის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, მოსკოვის სპორტული პრესის ფედერაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო სპორტული პრესის ასოციაციის (აიპს) საპატიო ნიშნის კავალერი, გაზეთ „იზვესტიის“ სპორტული მიმომხილველი ბორის ფედოსოვი.



● ქართველი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი თქვენი სახელი: წიგნი „ფეხბურთის ალბიონი— 1966“ ქართულ ენაზეც დაისტამბა. ხართ ათობით წიგნის, ცნობარის ავტორი. აღარაფერს ვამბობთ საგაზეთო პუბლიკაციებზე. როგორ დაიწყო თქვენი გზა სპორტულ ჟურნალისტიკაში?

— მოსკოვში დავიბადე, მაგრამ პირველი ნაბიჯები ცხოვრებაში... თურქეთის ქალაქ სმირნაში (დღევანდელი იზმირი) გადავდგი. ჩემი მშობლები ხუთი წელიწადი საბჭოთა საკონსულოში მუშაობდნენ. წარმოიდგინეთ, ბავშვობაში თურქული უკეთ ვიცოდი, ვიდრე რუსული. სპორტთან ურთიერთობა ფრენბურთით დავიწყე, სოკოლნიკებში მოსკოვის პირველობაზე გამოვდიოდი მომავალ მსოფლიო ჩემპიონებთან იური ჩესნოკოვთან და ბორის კოშიოლკინთან ერთად, ხანდახან ფეხბურთსაც ვთამაშობდი მეკარედ. მოხდა ისე, როგორც სპორტულ მოთხრობებსა და კინოფილმებში ხდება ხოლმე: ერთ დღეს მეკარე არ გამოცხადდა თამაშზე და ცნობილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ვლადიმერ მოშკარკინმა ტორპედოელთა ახალგაზრდული გუნდის კარის დაცვა დედაქალაქის „კრილია სოვეტოვის“ საკლუბო გუნდთან შეხვედრაში მე მომანდო. იმ სეზონში ხეელის ტრავმა მივიღე, ბურთის დჭერა აღარ შემეძლო და... კალის „დაჭერა“ გადავწყვიტე —ავოსაბურავების ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთში დავიწყე მუსაობა. პარალელურად უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი. ჩემი პირველი მასალა მაინც ფრენბურთს მივუძღვენი. მერე რეგულარულად ვიბეჭდებოდი „მოსკოვსკი კომსომოლეცში“, „კომსომოლსკაია პრავდაში“, „ტრუდში“. სამი წლის შემდეგ ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა იური ვანიატმა „ტრუდში“ შტატში მიმიწვია. ძირითადად მასობრივ-ფიზკულტურულ თემაზე ვწერდი. იქ ათი წელიწადი დავყავი და, უნდა გითხრათ, ბევრი რამ ვისწავლე. შემდეგ „იზვესტიაში“ გადავედი, სადაც თითქმის მეოთხედი საუკუნეა ვმუშაობ.

● ამ ხნის განმავლობაში თქვენმა გაზეთმა არაერთი წამოწყებით შეუწყო ხელი საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებას. იქნებ ერთად გავიხსენოთ ზოგიერთი შათგანი?

— ...დავიწყოთ, თუ გნებავთ, რუბრიკებით „მთელი ბრიგადით— სტადიონზე!“, „მთელი ოჯახით — სტარტზე!“, „სპორტი ოცდაათი წლის შემდეგ“, „მათ ტაშს უკრავდნენ სტადიონები“, საგაზეთო კლუბით „ჯანმრთელობა“ (კოსმონავტი-მფრინავი ალექსეი ლეონოვი რომ უდგას სათავეში), გავიხსენოთ აგრეთვე სარედაქციო კონკურს-დათვალიერებები. ჩვენს მკითხველებს, ვფიქრობ, მოსწონთ, როცა საფეხბურთო ჩემპიონატის ტურების კომენტირებას ცნობილ სპეციალისტებს ვანდობთ.

● თუ არ ვცდებით, სწორედ „იზვესტიის“ ინიციატივით მოეწყო 1971 წელს ლუჟნიკში ლევ იაშინის გამოსათხოვარი მატჩი დიდი ფეხბურთიდან. სპორტის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს „იზვესტიის“ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში, რომელიც მუდამ შესანიშნავად არის ორგანიზებული. გაზეთში დასტამბული მხიარული ჰოკეისტი „სნეგოვიკი“ ბევრს შეუყვარდა. ვიცით, რომ თქვენ წერთ მისი სახელით, ვინ შექმნა ეს მოხდენილი ემბლემა?...

— გამოგიტყდებით: პირველად, 1967 წელს, იგი მე დავხატე. აი, მესამე ტურნირიდან კი მოდერნიზებული „სნეგოვიკი“ უკვე პროფესიონალ მხატვარ-მულტიპლიკატორ ვიქტორ არსენტიევის ფუნჯს ეკუთვნის, იგი უკვე დაახლოებით 250 ვარიანტშია შესრულებული.

● მთელი რვა წლის განმავლობაში — 1980 წლამდე — თქვენ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე იყავით. მოდით, ისევ თქვენს „ტორპედოს“ დავუბრუნდეთ...

— დიახ. ავტოქარხნელთა ახალგაზრდული გუნდის შემდეგ მე „ტორპედოს“ სათადარიგო შემადგენლობაში ამოვყავი თავი, რომელსაც მაშინ პოპულარული მეკარე ანატოლი აკიმოვი ავარჯიშებდა. არასოდეს დამავიწყდება მისი ერთი მეტად „თვალსაჩინო“ გაკვეთილი. ორმოცდაათიანი წლების დამდეგი იყო. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ვხვდებოდით მასპინძლებს. ბრძოლა წვიმით გაჟღენთილ, ატალახებულ გრუნტზე გვიწევდა. ძველი, ჭუჭყიანი ბუცებით გამოვედი სათამაშოდ. აკიმოვმა ეს გვირაბში გასვლისას შეამჩნია: რა, მეტი არა გაქვს? — მკაცრად მკითხა მწვრთნელმა; როგორ არა, ახლებიც მაქვს! — ვუპასუხე დარცხვენილმა. ამ დროს გვერდით ჩამიარა დინამოელთა ელეგანტურმა მეკარემ ვალერ სანაიამ. მას შავი სვიტერი ეცვა, ასეთივე ფერის კარგად გაუთოვებული ტრუსები, მუქი გეტრები ორი თეთრი ხაზით, გაკრიალებული ბუცები და, რაც ყველაზე მეტად მომხვდა თვალში, სვიტერს ქვემოთ გაჭითქათებული საყელო ამშვენებდა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს სანაია საგანგებო დიპლომატიურ შეხვედრაზე მიიჩქაროდა. „ახლა მაინც თუ მიხვდი, რომ უკვე თამაშამდე წააგე ბრძოლა მასთან!“. — მშვიდად დაასკვნა აკიმოვმა (ისე კი, უნდა გითხრათ, ჩვენ იმ დღეს მაინც გავიმარჯვეთ).

● მოსკოვის ოლიმპიადაზე 1980 წელს მეტად საინტერესო ამხანაგური მატჩის მოწმენი გავხდით ფეხბურთში — მსოფლიოსა და სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ნაკრებ გუნდებს შორის, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ შესაბამისად აიპს-ის პრეზიდენტი ფრენკ ტეილორი და ნიკოლაი ოზეროვი. იმ მატჩში ჩვენი ნაკრების კარს თქვენ იცავდით...

— საინტერესო შეხვედრა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოს ნაკრებში გამოდიოდნენ ინგლისელი, ფრანგი, პორტუგალიელი, დასავლეთგერმანელი, კანადელი ჟურნალისტები, ე. ი. იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიადას. ჩვენს გუნდში მაშინ თამაშობდნენ ვიქტორ პონედელნიკი, ევგენი მაიოროვი, ვლადიმერ მასლაჩენკო და სხვები. 30 ივლისი იყო, შუადღე, თერმომეტრი 30 გრადუსს უჩვენებდა. ჩვენ გავიმარჯვეთ — 3:2.

● და ბოლოს ერთი დელიკატური შეკითხვა: მკითხველებში დიდი რეზონანსი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია თქვენი გაზეთის ორგანის პუბლიკაციებმა ცნობილ კალათბურთელ ულიანა სემიონოვასა და ესპანეთის კლუბ „ტინტორეტოს“ შესახებ. სხვათა შორის, ამ დღეებში „სოვეტსკი სპორტის“ ერთ-ერთ ნომერში ჟურნალისტ ა. ელისეიკინს სრულიად საწინააღმდეგო ფაქტები მოჰყავს. ვინ არის მართალი?...

— ალბათ მიაქციეთ ყურადღება იმ აბზაცს, სადაც ულიანა სემიონოვა ხაზს უსვამს, რომ იგი მთლიანად ეთანხმება „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას. ცხადია, ჩვენ დღესაც პირვანდელ პოზიციაზე ვდგევართ და, პირდაპირ გეტყვით, მის გასამგრებლად რედაქციას სხვა მნიშვნელოვანი არგუმენტებიც გააჩნია.

ესაუბრა ოთარ ნოზაძე.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

საჩუქარი — მწვრთნელს

ამ ასპარეზობის ფინალში მეტწილად შარშანდელი გამარჯვებულები — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მოკრივეები (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ძნელაძე) სჯარობდნენ. ფიზკულტურისა და სპორტის მომავალმა სპეციალისტებმა მწვრთნელს მისი დაბადების დღეს (ძნელაძე 60 წლისა შესრულდა) კარგი საჩუქარი მიუძღვნეს — გუნდური პირველობა მოიპოვეს.

პირველი წარმატება თავისიანებს მოუტანა გია დვალმა (უმჩატესი წონა), მოწინააღმდეგე, თსუ-ს სტუდენტი დ. გამარნიკი მოხსნეს შეჯიბრებიდან. მისი ბედი გაიზიარა მჩატე წონის სპი-ს წარმომადგენელმა ვ. გვრიტიშვილმა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრ ჟ. აბრამიანთან შეხვედრაში. აფხაზეთის უნივერსიტეტის ერთადერთმა წარმომადგენელმა — ხ. ჩეპანინმა (ქვემსუბუქი წონა) გაიმარჯვა გ. აბსარიძესთან (ფიზკულტურის ინსტიტუტი) ორთაბრძოლაში. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. გუჯაბიძემ (მსუბუქი წონა) ბრძოლა თსუ-ს წარმომადგენელ მ. იობაშვილს დაუთმო. გამარჯვებულს მიენიჭა პრიზი — გამარჯვებისკენ სწრაფვისათვის. გუჯაბიძის თანაგუნდელ ემილიან ჭულუხაძეს კი (ჩემპიონობა ქვემძიმე წონაში მოიპოვა) წილად ხვდა სპეციალური პრიზი — საუკეთესო ტექნიკისა და ტაქტიკისათვის.

დანარჩენ წონებში უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ: ო. სალოიანი (63,5 კგ. თსუ), გ. წერედიანი (67, ფიზკულტურის ინსტიტუტი), ნ. სუხაშვილი (71, სპი), თ. კეკელიძე (75, ზოოვეტინსტიტუტი), ლ. მარქარიანი (91, ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ა. ჯიმშელეიშვილი (+91, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

მეორე ადგილზე თსუ-ის სტუდენტები გავიდნენ, მესამეზე — სპი-ის.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

„რატომ დაიხურა სექცია“

„ლელოს“ 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილის („რატომ დაიხურა სექცია“) პასუხად გაცნობებთ, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტული ჯგუფების განაწილებისას მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ რაიონში არსებული სპორტული ბაზები, მწვრთნელთა კადრები, მოსწავლეთა კონტინგენტი და რაიონის სპორტული ტრადიციები.

1987 წელს ორჯონიკიძის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლას, მათი მოთხოვნის საფუძველზე გაეხსნა: კალათბურთის (4), თავისუფალი ჭიდაობის (11), ძიუდოს (6), კლასიკური ჭიდაობის (6), მძლეოსნობისა (5) და ფეხბურთის (4) ჯგუფები.

სახალხო განათლების განყოფილებებს, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებს ჩვენს მიერ მითითებული აქვთ, რომ სპორტული ჯგუფები გახსნან როგორც რაიონულ ცენტრებში, ასევე სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული სპორტული ბაზებისა და კადრების გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის, აღმასკომისა და სახალხო განათლების განყოფილების ერთობლივ სხდომაზე სკოლის დირექტორ გ. გურგენიძეს მიეთითა, რათა არსებული ჯგუფების მეცადინეობა აღადგინოს, სასწავლო ნაწილის გამგეს მ. იჩქიტაძეს კი დაევალა სასწავლო წლის ბოლომდე უსელმძღვანელოს დასახელებული ჯგუფის მეცადინეობას.

მომავალი სასწავლო წლიდან მარელისის რვაწლიან სკოლაში ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნება ძიუდოს ჯგუფების შუშაობის გაგრძელება.

მ. ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

...რიზისი ფრიად ...ერიოზულია

...3 მაისს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე შედგა ...ر კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის კალენდარული მატ... ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინა...“.

...ამ თამაშს ყველანი დიდი ინტე...ით მოველოდით და ეს ინტერესი ...ასთვის გასაგებია: მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინა...“ ძველი სპორტული მეტოქეები ...ან. მათი შეხვედრები დიდ ...ტორიას უყრის თავს მოსკო...ში და თბილისშიც, ისინი საბჭოთა ...ფეხბურთის ისტორიის დაუვიწ...ი ფურცლებადაა ქცეული, ორივე ...ხდის შემადგენლობაში მუდამ ...ოდიოდნენ უმაღლესი კლასის ...ბურთელები, დიდი ოსტატები. ...ჭერად,საკავშირო ჩემპიონატის ...ტურის ამ მატჩისთვის ჩვენ, ...ბილისის „დინამოს“ გულშემატ...ვრები, იმ განწყობილებით ვიყა... შემზადებული, რომ გათამა...ა მიმდინარეობს, ტური ტურს ...ევს, ერთთავად იმის მოლო...ში ვართ, რომ თბილისის „დი...მო“ დღეს არა, ხვალ ამოქმედ...ება როგორც ეს საჭიროა. ით...ებს თავისი ტრადიციული სიძ...ერის შესაბამისად და კვლავ ...მკვიდრებს ადგილს საბჭოთა ...ბურთის ავანგარდში.

...აგრამ, როგორც ხედავთ, ტუ...ტურს კი მისდევს, მაგრამ დი...ოელთაგან მათ ქომაგებს წყე...ა და გაწბილების მეტი ჯერ...ობით არაფერი გვაქვს. ეს ...ომარეობა ფრიად სავალალო ...ამავე დროს დამფიქრებელია. ...ევცდით ყველა ისინი, ვინც ...ევანდელი ჩემპიონატის პირვე... ორი ტურის შემდეგ ვფიქრ...ით, რომ თბილისის „დინამო“ ...დათან თავს აღწევს ბოლო ...ების მძიმე კრიზისს. აშკარად ...ცდით, ვინც ვარაუდობდა, რომ ...ოცდილ და ახალგაზრდა ფე...ბურთელთა ეს ახლანდელი თავი... ...ური ნაერთი გუნდი რამდენა... ...ი მაინც დამკვიდრებულად ...ომევდა თავს ბოლო ხანებში, ...ამოკვეთილ მძიმე პრობლემებს. ...ველმა ორმა გამარჯვებამ საკ... ...ერ მინდორზე ის არასწორი ...ეზია შექმნა, რომ საქმე კარ...და. გავიდა მცირე დრო და ყვე... ...ანი ნათლად დავწმუნდით, რომ ...ისს გაცილებით უფრო ღრმად ...ვ. გადგმული ფესვები, ვიდრე ...ეს შეცდომით მიგვაჩნდა. ამი...აც კვლავ და კვლავ იმის გა...ერება, რომ დინამოელები მო...ემებით, ძალ-ღონის დაუზოგა... ...ბრძვიან, არა თუ არ შველის ...ქეს, არამედ, პირიქით, სულ ...ფრო ნათლად და ცხადად წარ...ოგვიდგენს კოლექტივში შექმნილ ...ემიეს მდგომარეობას. ფაქტია: ...ოა მოინდომებ და მაინც ვერ ...ოჯვებ, ეს გამოკვეთილად ხაზს ...ესვამს ფეხბურთელთა დაბალ ოს...ატობას, ელემენტარულ სპორტ... უუნარობას და ოდესღაც უმა...ესი კლასის ოსტატებით აღსავსე ...ეი გუნდიც ამჟამად უმაღლესი ...ოგის საშუალო დონესაც ჩამორ...ება. მოინდომო და ვერ შეძლო — ...ნიშავს, რომ სუსტი ხარ, სუს...ებს კი ძლიერები მუდამ უგებენ, ...ებენ ყველგან, სტუმრადაც და ...ინაც.

...ეს კონცეფცია, რომ საბრძოლ...ად მომზადებული ვართ და ენ...ერგიასა და მონდომებას არ ვიშუ...ებთ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ...იშველის უმძიმესი კრიზისისგან ...ავის დასაღწევად. ოსტატობა და მხოლოდ ოსტატობა სჭირდება ფეხბურთელს, რომ საკავშირო ჩემპიონატის უმძიმეს მატჩებში გადაჭრას რთული პრობლემები.

ყველაფერ ამას გულშემატკივარი ცხადად ხედავს და რაც არ უნდა კეთილად იყოს განწყობილი ჩვენი გუნდის მიმართ, მაინც თავს ვერ დააღწევს იმ აუცილებელ რეალობას, რომ საქმიროა ინდივიდუალური სამემსრულებლო ოსტატობის ამაღლება და საერთო გუნდური, ტაქტიკური კვალიფიკაციის სრულყოფა. როგორც ხედავთ, მეათე ტურისთვის საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი მეტოქეები სულ იოლად, ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშე გვიგებენ და თბილისის „დინამო“ ქულების მოსაპოვებელი საბაღის გარდა იმ ობიექტადაც იქცა, რომ მასთან დიდი ინგარიშით გამარჯვებასაც ადვილად აღწევენ.

სწორედ ასე იოლად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკმა“ თბილისის „დინამო“ 13 მაისს. და დაამარცხა იმიტომ, რომ დინამოელებს საფეხბურთო ოსტატობა აკლდათ, ტაქტიკური ხასიათის შეცდომებიც საკმარისზე მეტი ჰქონდათ. მათს თამაშში არ იგრძნობა რაიმე იდეა, გეგმიანი კომბინაციური ჩანასახი.

მატჩის დასაწყისში რამდენადმე მაინც გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია, მაგრამ საკმარისი გახდა 32-ე წუთზე სპარტაკელებს ბურთი გაეტანათ და მას შემდეგ მასპინძლები მინდვრის სრული ბატონ-პატრონნნი გახდნენ. ამ მომენტში მოსკოველები მარცხენა ფრთიდან უტევდნენ და მარჯვნივ ჩაწოდეს ბურთი. შმაროვი აქ რამდენადმე ჩამორჩებოდა თბილისელთა მცველს, მაგრამ მან სწრაფი ბიძგით სულ იოლად გაასწრო მეტოქეს, მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და ბურთიც გაიტანა. 36-ე წუთზე სპარტაკელები კვლავ უტევდნენ, დინამოელთა მცველებმა თავიანთი კარისაკენ ღრმად დაიხიეს და უმეთვალყურეოდ დატოვეს მოსტოვოი, რომელიც ბურთს ფლობდა. სპარტაკელმაც გამოიყენა შექმნილი სიტუაცია და 25 მეტრიდან მეორე ბურთი გაიტანა „დინამოს“ კარში.

სპარტაკელთა ასეთივე ტაქტიკური უპირატესობის შედეგი იყო მესამე გოლიც. თამაშის დამთავრებას 4 წუთი აკლდა, შმაროვი შეიჭრა დინამოელთა საჯარიმო მოედანზე, კართან დაკიდა ბურთი, აქ როდიონოვს არავიან მეურვეობდა და ამ უკანასკნელმაც მესამედ მოათავსა ბურთი მეტოქის კარში — 3:0.

ვიმეორებთ, სპარტაკელთა გამარჯვება სრული, უპირველაციო და საკმაოდ იოლი იყო და რომ მეკარე გაბელია არა, უდავოდ, ანგარიში გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა.

რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენ, გულშემატკივრებმა, ფეხბურთის მოყვარულებმა სადღეისოდ შექმნილ ვითარებაში? ბუნებრივია, მოველოთ, რომ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა საჯარო საინფორმაციო საშუალებათა მეშვეობით წარსდგება გულშემატკივართა წინაშე და დაუფარავად, საქმიანად განუმარტავს თუ რატომაა, რომ ჩვენი გუნდი შინ თუ სტუმრად მარცხდება საკავშირო ჩემპიონატის უმნიშვნელოვანეს მატჩებში. დინამოელთა ხელმძღვანელებმა ისიც უნდა აგვიხსნან, თუ რატომ მოხდა, რომ მოსკოვის „სპარტაკთან“ ამ მეტად სერიოზული მატჩის წინ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩში დონეცკის „შახტიორთან“ გაგზავნეს დუბლიორთა შემადგენლობა, ძირითადმა გუნდმა კი ამ დროს რაღაც გაუგებარი საწვრთნელი მატჩი ამჯობინა დუშეთში, ადგილობრივ „არაგვთან“ და მოუგო საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფის მონაწილე გუნდს. საფეხბურთო კანონია, რომ ძნელი და საპასუხისმგებლო მატჩების წინ გუნდი მაღალ დონეზე უნდა ემზადებოდეს და ძლიერ მეტოქეებთან შეამოწმოს, დახვეწოს თავისი ძალები, საბრძოლო ფორმაში იყოლიოს სწორედ ის ფეხბურთელები, რომლებიც გადამწყვეტ მატჩებში აპირებენ თამაშს. აქ კი ამგვარი პარადოქსი: დუბლიორებმა დონეცკში იბრძოლეს „შახტიორთან“, ძირითადი შემადგენლობა კი დუშეთში გაემგზავრა „არაგვთან“ სათამაშოდ (?!).

შეიძლება ეს წვრილმანია და თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს თავიანთი გეგმა ჰონდათ, მაგრამ მათი მოსაზრებები უნდა ვიცოდეთ ჩვენც, ვინც ასე მტკივნეულად განიცდის თბილისის „დინამოს“ წარუმატებლობებს. თუ შარშანდელის მსგავსად საქმე ასე მიეუშვით, კვლავ პირველ ლიგაში გადასვლის „ბეწვის ხიდზე“ მოგვიწევს სიარული, კვლავ მომლოდინე თვალით უნდა ვუყუროთ „კაირატს“, „ნეფტჩის“, „შეტალისტს“ ან სხვა აუტსაიდერებს და მათი მარცხის წყალობით ვიფიქროთ იმ ადგილის შენარჩუნებაზე, რომელიც დიდი ხნის წინ, 1936 წელს მოიპოვეს ჩვენმა ძველმა ოსტატებმა.

სიძნელეების წინაშე თვალის დახუჭვა, მათი მიჩქმალვა კიდევ უფრო გაართულებს საქმეს. თბილისის „დინამო“, მისი ფეხბურთელები, მწვრთნელები და ჩვენი გულშემატკივრები ერთიანად უნდა მობილიზებული ვიყოთ, რათა კოლექტიური ძალით, ერთიანი მონდომებით და ძალისმევით დავაღწიოთ თავი მძიმე კრიზისის ულმობელ მარწუხებს. ფეხბურთის ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, როცა გუნდმა ერთხელ დაკარგა თავისი პოზიციები და მერე ვეღარ აღიდგინა ისინი. ყველანი უნდა შევეცადოთ, რომ თბილისის „დინამოს“ ასეთი რამ არ მოუვიდეს.

„ლელოს“ ფეხბურთის გა...ყოფილება.

* * *

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის შეხვედრები.

„დნეპრი“ — „ნეფთჩი“ 3:2
„ჩერნომორეცი“ — „არარატი“ 2:1
„მეტალისტი“ — „ლოკომოტივი“ 1:0
„დინამო“ კ. — „ზენიტი“ 2:0
„ტორპედო“ — „დინამო“ მნ. 1:0
„კაირატი“ — „ჟალგირისი“ 1:2
„დინამო“ მ. — „შახტიორი“ 1:1

ისევ ჰესლიჰი, ისევ ჰიუბნერი

(დასასრული)

ღწია. სამაგიეროდ, მეორე რბოლა ღირდა საცქერლად: ოთარ მჭედლიშვილმა ამკარად აგრძნობინა მეტოქეს, რომ ამჯერად იოლი გამარჯვების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ჰიუბნერს ფინიშის სწორზე მაქსიმალური სისწრაფის „ჩართვა“ დასჭირდა, რამდენიმე სანტიმეტრით რომ გაესწრო ტრეკის მასპინძლისათვის.

ჰესლიჰს არავითარი პრობლემა არ ჰქონია თანაგუნდელ ბილ ჰუკთან ბრძოლაში...

წინა წერილში უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის სპრინტერ ვაჟთა შორის სეულის ოლიმპიადის საგზურისათვის მხოლოდ ორი სპორტსმენი — ოთარ მჭედლიშვილი და ნიკოლაი კოვში იბრძვიან. მართალია, ქართველმა სპრინტერმა თბილისის ტურნირზე უკვე მოახერხა კონკურენტის დამარცხება, მაგრამ ჰუკის ჯობნა მას დამატებით ქულებს შესძენდა სანუკვარი მიზნის ასრულებაში. ბილ ჰუკი, როგორც უკვე გაცნობეთ, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი გახლავთ.

ეს იყო უკომპრომისო და, ერთგვარად, პარადოქსებით აღსავსე რბოლა. პირველ ცდაზე მჭედლიშვილი წინა პოზიციაში იმყოფებოდა, მაგრამ გრძელი, შესანიშნავი ფინიშით შეძლო მეტოქის ჩამოტოვება. შემდეგ ჰუკმა სწორი ტაქტიკური სვლა გამონახა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მესამე რბოლა კი მხოლოდ სისწრაფის დემონსტრირება გახლდათ. მართალია, ერთი დღის წინ მჭედლიშვილი ჰუკზე გაცილებით უკეთესად გამოვიდა 200 მეტრზე გიტში, მაგრამ უშუალოდ ბრძოლაში უფრო სწრაფი გერმანელი სპრინტერი აღმოჩნდა. მესამე ადგილიც მან მოიპოვა.

მჭედლიშვილისა და კოვშის დავა კი სეულის საგზურისათვის ქვეყნის თასის გათამაშებაში და ჩემპიონატში გაგრძელდება. სპეციალისტთა აზრით, გადამწყვეტი ეს უკანასკნელი ასპარეზობა იქნება.

ჰესლიჰმა და ჰიუბნერმა კვლავ გაიმეორეს თავიანთი ტრადიციული „რიტუალი“ მთავარი პრიზის მოსაპოვებლად. მსოფლიო ჩემპიონი მუდამ სარკასტულად „ოფიციალურ“ მოდების „ეტალონი“ იყო ჩვენთვის, მაგრამ ბოლოს — ეტყობა თავის ოსტატობის ზენიტში იმყოფება: მან ძალზე დამაჯერებლად აჯობა მეტოქეს. არა გვგონია, ეს ჰიუბნერის ცუდი სპორტული ფორმით აიხსნას, იგი ხომ საუკეთესოდ გამოვიდა სხვა მეტოქეების წინააღმდეგ. მიზეზი უფრო ისაა, რომ ოლიმპიადის მოახლოვებამ ჰესლიჰს ოსტატობის ზრდის დამატებითი სტიმული მისცა. მან პირველიც და მეორე ცდაც პირწმინდად მოიგო. თუმცა მეორე რბოლის დროს მსაჯებმა წესის მცირე დარღვევის გამო დამარცხებულად გამოაცხადეს, ამის გამო საკუთარ ძალაში დარწმუნებული მსოფლიო ჩემპიონი დიდად არ განაწყენებულა, დაკვირვებით ჩაატარა მესამე რბოლა და ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი.

5–7 ადგილებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ კოვში, ადამაშვილი და ბელოსტეცკი და ფინიშის ხაზი ასეთივე თანმიმდევრობით გადაკვეთეს.

სპრინტერ ქალთა შეჯიბრებასაც ჰყავდა თავისი „ჰესლიჰი“. გასული წლის მსოფლიო ჩემპიონმა ერიკა სალუმიაემ იოლად გადაუწურა გამარჯვების იმედი თავის მეტოქეებს. მან ნახევარფინალში სძლია ნატალია კრუშელნიცკაიას. ფინალში კი ველოსპორტის ვეტერანი — გალინა ცარიოვა დაამარცხა ორ ცდაზე. კრუშელნიცკაიამ, თავის მხრივ, სძლია ახალგაზრდა ინა შლომინას და მესამე ადგილი დაიკავა. სპრინტში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, არც ერთ უცხოელ სპორტსმენს თავი არ გამოუჩენია.

ბიორგი ჩოჩიშვილი.

* * *

ტექნიკური შედეგები:

სპრინტი. ვაჟები. 1. ლ. ჰესლიჰი; 2. მ. ჰიუბნერი. 3. ბ. ჰუკი (ყველა — გდრ); 4. ო. მჭედლიშვილი; 5. ნ. კოვში; 6. ვ. ადამაშვილი; 7. ა. ბელოსტეცკი (ყველა — სსრკ); 8. რ. კუში (გდრ).

ქალები. 1. ე. სალუმიაე; 2. გ. ცარიოვა; 3. ნ. კრუშელნიცკაია; 4. ი. შლომინა (ყველა — სსრკ).

დაწინაურდა ტერელაძე

როგორც იცით, ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა 16 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი.

16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის 6,5-6,5 ქულით I–II ადგილები გაიყვეს სამტრედიელმა ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ და ბელორუსელმა ოსტატობის კანდიდატმა იულია ლევიტანმა.

ორიოდე დღის წინ მოსკოვში დაიწყო ამ მოჭადრაკეთა მატჩი 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურისათვის.

დებულების თანახმად მეტოქეები 6 პარტიას აითამაშებენ. მატჩის ფრედ (3:3) დამთავრების შემთხვევაში, გამარჯვებულად ქართველი ოსტატი გამოცხადდება, ვინაიდან ძირითადი ტურნირის შედეგებს მიხედვით მას უკეთესი კოეფიციენტი აქვს.

პირველ პარტიაში, რომელშიც (ისევე, როგორც ყველა მომდევნო კენტ პარტიაში) თეთრი ფიგურებით იულია ლევიტანი თამაშობდა, მეტოქეებმა სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტი გაითამაშეს. შავებმა საკმაოდ ადვილად შეძლეს პოზიციის გათანაბრება და შემდეგ კი უპირატესობასაც დაეუფლნენ. ტერელაძემ რამდენჯერმე მოგების ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან. საბოლოოდ 61-ე სვლაზე პარტია გადაიდო, სამტრედიელ ოსტატს მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს.

გუშინ გათამაშდა მეორე პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით სოფიკო ტერელაძე თამაშობდა, მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს, თეთრებმა დებიუტშივე მოიპოვეს უპირატესობა. შუა თამაშში ბელორუსიელმა ოსტატობის კანდიდატმა რამდენიმე არაზუსტი სვლა გააკეთა და დიდი მატერიალური ზარალი განიცადა, რის შემდეგაც 21-ე სვლაზე თავი დამარცხებულად სცნო.

ამრიგად, ანგარიში გახდა 1:0 სამტრედიელი ოსტატის სასარგებლოდ.

ბეჟან ჩხაიძე.
(მოსკოვი, ტელეფონით).

...ევროპის საკლუბო თასებზე

...ასასრულს მიუახლოვდა ფეხბუ...ში ევროპის საკლუბო თასების ...თამაშებები. თასების მფლობე...თა თასის ახალი მფლობელი უკვე ...ამოვლინდა. ესაა ბელგიის „მე...ლენი“, რომელმაც ფინალში ან...ირეთით 1:0 დამარცხა ჰოლანდი...ს ცნობილი „აიაქსი“.

...ეფა-ს თასზე, როგორც ყოვე...ელი, შედგება 2 ფინალური მა...ჩი. პირველი მათგანი გაიმართა ...ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, ...ადგილობრივმა „ესპანიოლმა“ ან...ირეთით 3:0 მოუგო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბაიერს“. სპასუხო მატჩისთვის. რომელიც 18 მაისს შედგება „ბაიერის“ მინდორზე ქ. ლევერკუზენში, ესპანელ ფეხბურთელებს პრიზის მოპოვების კარგი შესაძლებლობა გააჩნიათ.

დაბოლოს, მთავარი პრიზი: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდნენ ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“ და პორტუგალიის „ბენფიკა“. ისინი ერთმანეთს შეხვდებიან შტუტგარტში (გფრ) 25 მაისს.

„სპორტპროგნოზი“, 21-ე ტირაჟის პროგრამა (21–22 მაისი)

ხელბურთი. ევრ. ქვეყნების თასების მფლობელთა თასი		პროგნოზი		
1. ასკ (მინსკი) — „გროსვალშტადტი“ (გფრ) II ფინალური მატჩი, ქ. მინსკი	21.V	80	10	10
ხელბურთი. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასი (ვაჟები)				
2. „მინაურ ბაია-მარე“ (რუმინეთი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) II ფინალური მატჩი, რუმინეთი	21.V	20	10	70
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში, ქალები (უმაღლესი ლიგა)				
3. სკიფ-ი (მოსკოვი) — „პოლატოტდელი“ (ტაშკენტის ოლქი) I თამაში	21.V	70	20	10
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „სვეზნისტი“ (ალმა-ათა) I თამაში	21.V	70	20	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
5. „შახტიორი“ (დონეცკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)	21.V	80	10	10
6. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	22.V	50	40	10
7. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი)	22.V	70	20	10
8. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი)	22.V	50	40	10
9. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)	22.V	10	70	20
10. „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21.V	60	30	10
11. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მინსკი)	22.V	30	20	50
12. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	22.V	10	70	20
ევროპის ჩემპიონატი რეგბიში				
13. სსრ კავშირი — საფრანგეთი ქ. ქუთაისი	22.V	20	10	70

შენიშვნა: ბალახის ჰოკეისა და ხელბურთის ხათსო მატჩებში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ“ — 14 მაისი. „ნაბიჯი ოლიმპისკენ“. საბჭოთა ოლიმპიელ ფეხბურთელთა გეგმებზე გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი ა. ბიშოვეცი.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲙᲘ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲘ“ — 9 მაისი. „სამი წამი და მთელი ცხოვრება“. მიუნჰენის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ფინალურ მატჩს სსრ კავშირისა და აშშ-ის გუნდებს შორის იხსენებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ივან ედეშკო.

9 მაისი. „თავგადასავალთა მაძიებელნი“. რით იზიდავს ახალგაზრდებს „ფანატების“ რთული და ძოულოდნელობებით აღსავსე გზა?

11 მაისი. „ალო, „რაპიდი“!.. ალო, „ფრეგერტსი“. როგორ ცხოვრობენ და თამაშობენ სერგეი შავლო და ოლეგ ბლოხინი თავიანთ ახალ კლუბებში.

12 მაისი. „ვებრძოლოთ „ანტითამაშს“. გაზეთი აგრძელებს პუბლიკაციების სერიას საფეხბურთო მინდვრებზე უხეშობისა და სისასტიკის შესახებ.

12 მაისი. რუბრიკით „განსაკუთრებული ყურადღების ზონა“ იბეჭდება წერილი „ფაქტზე დავაკავებთ“.

12 მაისი. რუბრიკით „პარიზიდან მიუნჰენამდე“ გაზეთი იწყებს ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელის ვიქტორ კოლოტოვის მოგონებების ბეჭდვას.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲙᲝᲙᲔᲘ. მოსკოველმა არმიელებმა ლუჟნიკის სპორტის სასახლეში მეოთხე ფინალურ მატჩში დაამარცხეს რიგის „დინამო“ (5:2) და 31-ედ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ

„გთხოვთ განმიმარტოთ ჩემთვის გაუგებარი საკომპოზიციო ტერმინის ტემპოდუელის მნიშვნელობა“ (არმაზ თავაძე — თბილისი).

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ამოცანებში ვხვდებით მაგალითებს, რომელთა სიუჟეტი მეტოქე ფიგურების დაპირისპირებულ ბრძოლაზეა აგებული. შავი და თეთრი ფიგურების სისტემატურ შერკინებას, თუ იგი გამოკვეთილ სახეს იღებს, კომპოზიციაში „დუელის“ თემა ეწოდება.

Ჯ. ᲐᲚᲯᲐᲘᲛᲘ, 1962



შამათი 5 სვლაში

გერმანელი პრობლემისტის ნაწარმოებში შავების დაცვითი თამაში პატის მუქარას ეყრდნობა. 1. ედ7! (1. ე:a7? პატი) ლd4! ლაზიერი უშიშრად ეწირება, თანაც f2 უჯრას აკონტროლებს. 2. ედ5! ლd2 3. ედ3 ლe1 აშკარად ჩანს, თუ ეტლისა და ლაზიერის დუელში პირველი როგორ ავიწროებს შავების უძლიერეს ფიგურას. 4. ედ1! ლ:d1 5. კf2×.

არსებობს ფიგურების ორთაბრძოლის სხვა სახეობაც, სადაც პაექრობის მთავარი მიზანია დროის (ტემპის) მოგება. ასეთ ბრძოლას „ტემპოდუელი“ ეწოდება. ამ ტიპის ამოცანები ფართოდ არის დამახასიათებელი ლოგიკური სკოლისათვის. გავეცნოთ მაგალითს, სადაც „დუელანტთა“ წყვილს ლაზიერი და კუ შეადგენს.

Ე. ᲒᲣᲢᲛᲐᲜᲘ, 1959



შამათი 7 სვლაში

საწყის პოზიციაში სვლა რომ შავების იყოს, მათ კუ უნდა ეთამაშათ და შამათი (ლc4× ან ლc6×) მიეღოთ. მაგრამ ვინაიდან სვლა თეთრებისაა და ამასთან, მათ ლოდინის სვლა (ტემპო-სვლა) არ გააჩნიათ, სხვა საშამათო გზა უნდა ეძებონ. კერძოდ, თეთრები ისე წარმართავენ ბრძოლას, რომ სვლა შავებს გადასცენ. 1. ლe2 (მუქარით 2. ლe8+) კf7 2. ლe5 კe6! ერთადერთი სვლა 3. ლh5! კf7 4. ლe2 (თეფრებს სულ კონტროლის ქვეშ უნდა ჰყავდეთ b5 უჯრა) კe6 5. ლd3 კd5! 6. ლa6! და შეიქმნა ზუსტად ის პოზიცია, რაც დიაგრამაზე, ოღონდ ახლა სვლა შავებისაა! კუმ დუელი წააგო და ლაზიერი აშამათებს მეფეს.

ამოსახსნელად გთავაზობთ ხუთსვლიან ამოცანას, რომელიც აგრეთვე დუელის თემაზეა შედგენილი.

Ი. ᲑᲠᲝᲘᲔᲠᲘ, 1959



შამათი 5 სვლაში

გაარკვიეთ დუელში მონაწილე ფიგურები და ამოხსენით ეს ამოცანა. ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ლელოს“ 1 მაისის ნომერში გამოქვეყნებული კ. მეკის ოთხსვლიანი ამოცანის ამოხსნაა 1. კc1! e5 2. მc5 e6 3. მd3! ed 4. e4×. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველად გამოგზავნა სწორი პასუხი: რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), კ. ვაჩაძე (ტყიბული), მ. ქოიავა (წულუკიძე), ვ. ბოჭორიშვილი, ზ. ქავთარაძე (ორივე — თერჯოლა), მ. ცეცხლაძე (მახო, ხელვაჩაურის რ.), მზია შავდათუაშვილი (გორი), თ. გორდელაძე (ღრმაღელე, ლანჩხუთის რ), გ. ხუსკივაძე (ცხაკაია), რ. ჩაგელიშვილი (გვიმრიანი, ლაგოდეხის რ.), ნ. და რ. კახიძეები (ბათუმი), ტ. და დ. ხარაიშვილები, კ. მჭედლიძე, თეა ელჩიბეგაშვილი, მ. კობახიძე, ო. მამულაშვილი, ა. კვირიკაშვილი (ყველა — თბილისი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

საქართველოს სსრ სპორტსახკომი და ჭადრაკის ფედერაციასთან არსებული საჭადრაკო კომპოზიციის რესპუბლიკური კომისია ატარებს საინტერესო და ღირსშესანიშნავ შეჯიბრებას. ეს არის საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა III პირადი პირველობა, რომელიც გაიმართება 4 სახეობაში (ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანები და ეტიუდები).

ჩვენი რესპუბლიკის პრობლემისტებსა და ეტიუდისტებს თითოეულ სახეობაში შეუძლიათ გამოგზავნონ არა უმეტეს 10-10 თავისი (მათ შორის კოლექტიურიც) ნაწარმოებისა, რომლებიც პრესაში გამოქვეყნებული იყო 1970 წლის 1 იანვრიდან 1980 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპოზიციები (დიაგრამებზე, გამოქვეყნების დროის, ადგილის, მიღებული შეფასების ჩვენებით და დაწვრილებით ამოხსნით) 2-2 ცალად უნდა გამოიგზავნოს რესპუბლიკური ჭადრაკის სასახლის მისამართზე (380009, თბილისი, ლენინის ქ. 37) არა უგვიანეს 1988 წ. 15 ივნისისა, წარწერით „III პირველობა კომპოზიციაში“.

პირველობის მსაჯები არიან: ამოცანებში — საერთაშორისო არბიტრი ი. ვლადიმიროვი, ეტიუდებში — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. კრალინი (ორივე — მოსკოვი), მსაჯი-ორგანიზატორი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ი. აკობია (თბილისი).

დებულების თანახმად, ყოველ ჟანრის ფინალში (20 — ამოცანებში, 30 — ეტიუდებში) ერთი ავტორისაგან შეიძლება მოხვდეს არა უმეტეს 6 ნაწარმოებისა (მათგან მხოლოდ 3 კოლექტიური), რომლებიც შეფასდება 15-ბალიანი სისტემით.

პირველობის შედეგები გამოქვეყნდება გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანში“.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

მე-19 ტირაჟის შედეგები (8-9 მაისი)

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-19 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 8-9 მაისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.576.450 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (84) მოგებამ შეადგინა 817 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1718) — 79 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (14776) — 32 მანეთი.

მე-19 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 29 მაისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 8 მაისს გამართული „სპორტლოტოს“ ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 1416062 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (38 ბარათი) მოგება 1371 მანეთია, ოთხისთვის (1651) — 38, სამისთვის (24391) — 4.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 14 258 870 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (20 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4027) — 172, სამისთვის (155747) — 8.

მე-19 ტირაჟების მოგებათა გაანაღდება იწარმოებს 23 მაისიდან 23 ივნისის ჩათვლით.

ᲘᲝᲒᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ, სადაც მოსახლეობა 780 მილიონს აღემატება, სტატისტიკის მიხედვით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე დაბალია მსოფლიოში. ეტყობა, ამ გარემოებამ შეაშფოთა იოგას მოყვარულები ჩვენში, რომლებიც ამ ფაქტს წმინდა ინდურ მოძღვრებას — იოგას უკავშირებენ. მათი აზრით, ისე გამოდის, რომ ქვეყანა, რომელსაც იოგას ამდენი მიმდევარი ჰყავს, დემოგრაფიის ასეთი უსიხარულო მაჩვენებლით არ უნდა გამოირჩეოდეს. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს აზრი ძირშივე მცდარია. იოგა ასეთი ფართო გაგებით სიცოცხლის გახმაურებული ვერ იქნება თუნდაც იმიტომ, რომ მას ინდოეთის უზარმაზარი მოსახლეობის მცირე ნაწილი მისდევს.

ის ადამიანები, რომლებიც იოგას ფილოსოფიით არიან გატაცებულნი და ამ სისტემით ხელმძღვანელობენ, სხვებისაგან განსხვავდებიან, გამორჩევიან ჯანმრთელობით და დღეგრძელობით, რაც ერთ პირადად დავრწმუნდი ჩემი ინდოეთში მოგზაურობის დროს 1977 წელს. საინტერესო შეხვედრები მქონდა როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმულ იოგებთან, მათ შორის — კრიშნა კუვალიანანდასთან. ბატონი კრიშნა შესანიშნავად გამოიყურებოდა მის ასაკთან შედარებით, სპორტული მიხრა-მოხრით 60-65 წლის მამაკაცს ჰგავდა. არადა, უკვე 126 წლისა იყო. თუმცა, რა გასაკვირია, ჰათჰა-იოგას ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ხომ ბრძოლაა ორგანიზმის უდროოდ დაბერების წინააღმდეგ, — ორგანიზმის უდროოდ გაცვეთის პროცესის შეწყვეტის ან შენელებისათვის.

იოგას მოძღვრების დედააზრი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ: იოგა სიცოცხლის ხელოვნებაა. მაგრამ ამჯერად მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ სიცოცხლე, არამედ გონიერი, ჯანსაღი და დღეგრძელი სიცოცხლე.

რამდენიმე წლის წინ, ცნობილ ინგლისელ მეცნიერ უილიამ ჰექსლის და ბომბეის იოგთა ინსტიტუტის ხელმძღვანელის ჯაიადევა იოგენდრას შეხვედრის დროს გაიმართა საინტერესო საუბარი დღეგრძელობის თაობაზე. პროფესორი ჰექსლი დიდად დაინტერესდა ინდოელთა უძველესი სისტემით. იოგებს მიაჩნიათ, რომ იგი ერთ-ერთი სისტემაა, რომელსაც შეუძლია, არსებულებრივად გაახანგრძლივოს ადამიანის სიცოცხლე. როგორია ადამიანის შესაძლებლობა ამ მხრივ — ასეთი იყო ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და საწინააღმდეგო თვალსაზრისის წარმომადგენელთა საუბრის თემა ადამიანის სიცოცხლის ზღვრის შესახებ.

ჰექსლი: „უპირველეს ყოვლისა, სურდა დაედგინა, თუ რა ხასიათის კავშირი არსებობს, ან რა არის საერთო იოგას მეთოდსა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლის საშუალებებს შორის.

საუბრის დასაწყისშივე ცნობილი ინგლისელი მეცნიერი იმედოვნებდა, რომ იოგენდრა მას შესთავაზებდა გაახალგაზრდავების ზოგიერთ მედიკამენტურ საშუალებას, რომელთაც იოგები იყენებენ იმისათვის, რომ ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრონ, მაგრამ მას ეს იმედი მალე გაუცრუვდა.

— „ჩვენს დროში მედიცინის ინდოელი ავტორიტეტები, — დაიწყო თავისი პასუხი ჯაიადევა იოგენდრამ, — ნამდვილად ბევრს ლაპარაკობენ გაახალგაზრდავებაზე (კაიაკალპა). ბოლო დროს ამ მიმართებით პოპულარული გახდა პანდიტ მადან მოჟან მალავიას ექსპერიმენტი. უთუოდ უნდა ვაღიაროთ, რომ მედიცინის ისტორიაში გაახალგაზრდავებისათვის ბრძოლა პირველად იოგებმა დაიწყეს. შეიძლება ცოტა არ იყოს გაზვიადებულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ იოგებს მიაჩნიათ, რომ ადამიანს თავისუფლად შეუძლია 100 წელი და კიდევ მეტი იცოცხლოს. უცხოელი მკვლევარები და მოგზაურები კი, რომელთაც არაერთხელ აქვთ შემოვლილი ინდოეთის თვალუწვდენელი მიწა-წყალი, მემუარებში აღნიშნავენ, რომ ყოფილან ადამიანები, რომლებსაც 300 წლამდე უცოცხლიათ. ასეთი მონაცემები გამოქვეყნებულია მოშან ფანის მემუარებში, რომელიც ჯერ კიდევ 1607 წელს იყო „გამოცანების ქვეყანაში“. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთ მონაცემებს მეცნიერული საფუძველი არ გააჩნიათ. ამიტომ მათ გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ძველი დროის გამოცემები და ზოგიერთი ახალი ცნობა იძულებულს გვხდის ვერწმუნოთ ამგვარ შესაძლებლობას. განსაკუთრებით ბევრი მსგავსი ფაქტია მოყვანილი ჩვენს ძველეს ლიტერატურაში. ამჟამად დიდად პატივცემული პროფესორები ცდილობენ მეცნიერულად დაასაბუთონ ყოველივე ეს და ამტკიცებენ, რომ ამის შესაძლებლობას ადამიანს იოგა ანიჭებს. მე მხედველობაში მაქვს თქვენს მიერ (ჰექსლის მიერ. რედ. შენ.) 1954 წელს ბომბეიში გამოქვეყნებული მასალები. თქვენ ემყარებით თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს და ხაზგასმით, პირდაპირ და დარწმუნებით ამბობთ, რომ ახლა ყველა პირობაა შექმნილი ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. თქვენს ამ რწმენას ასაბუთებთ იმით, რომ არსებობს მრავალი შესაძლებლობა ისეთი ახალ-ახალი საშუალებების აღმოსაჩენად, რომლებიც სტიმულს მისცემენ ადამიანის ცალკეული ორგანოების, მისი მთელი სისტემების მუშაობას, ორგანიზმის მთლიან განახლებას. შესაძლოა თქვენ მხედველობაში გაქვთ ისიც, რომ ამ ბოლო წლებში ლაპარაკი დაიწყეს „გაცვეთილი“ ორგანოების, სახელდობრ, ღვიძლის, გულის, ფილტვებისა და სხვათა შეცვლის შესახებ, რაც ადამიანს „დაეხმარება სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და სიცოცხლის მრავალი წლით გახანგრძლივებაში“...

— მე გამოვთქვი მხოლოდ იმედი, ეს არის და ეს, — უპასუხა მეცნიერმა. — რაც შეეხება იმ მონაცემებს, რასაც გვაწვდის თქვენი უძველესი ლიტერატურა, ნება მომეცით ეჭვის თვალით შევხედო მათ... ეს შეიძლება მხოლოდ ლეგენდა იყოს.

—„ბატონო პროფესორო! შემიძლია სრულიად დადგენილი ფაქტები მოვიტანო, — შეეკამათა იოგენდრა. — რას იტყოდით მაზალელ პარამახამზა მადხავადაზაჯზე, რომელიც 1798 წელს დაიბადა და იცოცხლა 1921 წლამდე? ეს ერთი შეხედვით იშვიათი შემთხვევაა, უტყუარი ფაქტები კი ადასტურებს, რომ ამჟამადაც არის იოგები, რომლებმაც ორი საუკუნე იცოცხლეს.

უდავოა, რომ იოგები დიდხანს ცოცხლობენ, ერთ-ერთმა იოგამ— ლოკანთხა ბრაუმაჩარმა, გოსვამის თანახმად, 166 წელი იცოცხლა, ხოლო დიდმა იოგმა — ტაილანგა სოუმიმ, როგორც ამტკიცებენ — 280 წელი“.

საეჭვოა, რომ უილიამ ჰექსლი დათანხმებოდა თუნდაც ასეთ „ფაქტებს“ იოგების შესახებ, თუმცა მათი დიდი ნაწილი დასაბუთებულია ლიტერატურული არგუმენტებით. მეცნიერს რომ სკეპტიციზმი ახასიათებდეს, ეს ბუნებრივია, მაგრამ ეს სკეპტიციზმი არ უნდა გადაიქცეს კონსერვატიზმად. მაგრამ მოდით კვლავ დავუბრუნდეთ ჰექსლის...

— „ჰექსლი არ იზიარებდა — არც ეძებდა, — ამბობს იოგენდრა, — იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ახასიათებს ადამიანის სხეულსა და ზოგიერთ ორგანოზე იოგების ვარჯიშის გამწმენდ მოქმედებას. სწორედ ორგანოებისა და ნერვების გაწმენდაა (მალასუდხი და ნადისუდხი) იოგათა დღეგრძელობის მიზეზი. მეთოდს, რომელსაც იოგები რამდენიმე ათასწლეულის წინათ ჰიმარაოვდნენ, ამჟამად მეცნიერულ საფუძველზე იყენებენ ბომბეის იოგთა ინსტიტუტში. პროფესორმა ჰექსლიმ იცოდა, რომ ასანები ხელს უწყობენ ორგანიზმის საერთო გაკაჟებას და თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: „მას შეუძლია მოგვცეს კარგი ჯანმრთელობა, მაგრამ არა უთუოდ დღეგრძელობა“.

მაგრამ რადგანაც ყველასათვის ცნობილია, — განაგრძო იოგენდრამ, — რომ სწორედ ჯანმრთელი ორგანიზმია დღეგრძელობის მთავარი საწინდარი, კამათის გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩავთვალე“.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ 1987 წლის №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248; 1988 წლის № 3, 7, 12, 17, 22, 27, 32, 37, 51, 60, 65, 75, 86, 89-90.

ინდექსი 65435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარაულის ქ. 29. უე 10738